წერილის ნომერი:**03-802306026**
თარიღი: **01/03/2023**

ადრესატი:

ალუდა თუთისანი
ცაგერის მუნიციპალიტეტის მერია-მერი (დროებით მოვალეობის შემსრულებელი)

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ ალუდა თუთისანს

სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის განვითარების

სამსახურის უფროსის სოფიო გვიშიანის

მოხსენებითი ბარათი

ბატონო ალუდა,

მიმდინარე წლის თებერვალში მოსულმა უხვმა ნალექმა (თოვლის სახით) ცაგერის მუნიციპალიტეტში გამოიწვია გზების პარალიზება, ჩაკეტილია როგორც ადმინისტრაციის ცენტრთან დამაკავშირებელი, ასევე შიდა სასოფლო გზები. მოსახლება ვერ ახერხებს ავტოსატრანსპორტო საშუალებებით გადაადგილებას.

მუნიციპალიტეტი თავისი ტექნიკით ვერ უზრუნველყოფს სრულყოფილად გზების გაწმენდითი სამუშაოების შესრულებას. ფორსმაჟორული სიტუაციიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტში განვითარებული სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციო შტაბის გადაწყვეტილებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია გადაუდებელი აუცილებლობით შესყიდვის შემდგომ ხელშეკრულება გაუფორმდეს შ.პ.ს-ს, რომელიც ბაზრის მოკვლევით დააფიქსირებს დაბალ ფასს(თოვლის წმენდა 1 სთ-ის ღირებულება).სავარაუდოთ სამუშაოს ხანგრძლივობა შეადგენს 926 სთ-ს.

გთხოვთ მოხსენებითი ბარათი გადაეგზავნოს მერიის სახელმწიფო შესყიდვების სამსახურს შემდგომი რეაგირებისათვის.

სოფიო გვიშიანი

სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური-სამსახურის უფროსი